FREE DEVELOPMENT AND LAW CENTRE

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

# ამომრჩეველთა ინფორმირება 2020 წლის პარლამენტის არჩევნებისთვის

## იყავი ინფორმირებული ამომრჩეველი!

ა(ა)იპ „თავისუფალი განვითარებისა და სამართლის ცენტრი“

25 სექტემბერი-25 ოქტომბერი, 2020 წელი

# პროექტის მიზანი:

- არჩევნებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე, პანდემიის პირობებში არჩევნების ჩატარების წესსა და საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის უსაფრთხო პროცედურების საკითხებზე, საარჩევნო უფლებებსა და მათი რეალიზების  პროცედურაზე (მათ შორის, ხმის მიცემის ფარულობის პრინციპთან დაკავშირებით) იმერეთის რეგიონის (საჩხერე, ჭიათურა, ხარაგაული) ახალგაზრდა ამომრჩევლების        ინფორმირებულობა.
- იმერეთის რეგიონის (საჩხერე, ჭიათურა, ხარაგაული)  ახალგაზრდა ამომრჩევლების აქტივობის ზრდას საარჩევნო პროცესში.
- იმერეთის რეგიონის (საჩხერე, ჭიათურა, ხარაგაული) ახალაგაზრდა ამომრჩევლების სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდა.

# პროექტის განხორციელების არეალი:

იმერეთი: საჩხერე, ჭიათურა, ხარაგაული

პროექტის ფარგლებში დაგეგმილ ტრენინგებში მინაწილეობდა 61 ბენეფიციარი აქედან 21 მამაკაცი და 40 ქალი, ასევე ჩატარდა საჯარო შეხვედრებიც. ბენეფიციართა უმრავლესობას წარმოადგენდნენ ახალგაზრდები.



- ღონისძიება 1 - საჩხერეში ტრენინგი და საჯარო შეხვედრა . 16.10.2020
- ფოტომასალა:





- ღონისძიება 2 - ჭიათურაში ტრენინგი და საჯარო შეხვედრა.  17.10.2020
- ფოტომასალა:





- ღონისძიება 3 ხარაგაულში ტრენინგი და საჯარო შეხვედრა 18.10.2020
- ფოტომასალა:




# პროექტის ეფექტი (მიღწეული შედეგები)

- საგრანტო პროექტის ფარგლებში ტრენინგები ჩატარდა საჩხერე, ჭიათურა და ხარაგაულში. ტრენინგებს ჯამში დაესწრო 61 ბენეფიციარი, რომლის გენდერული ბალანსი იყო 21 კაცი და 40 ქალი. პროექტის ფარგლებში საჩხერეში, ჭიათურასა და ხარაგაულში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები, სადაც მსმენელებს გადაეცათ საინფორმაციო ბროშურა და პროექტით გათვალისწინებული ბრენდირებული მასალა.
- პროექტის განხორციელების შედეგად გაიზარდა იმერეთის რეგიონის (საჩხერე, ჭიათურა, ხარაგაული) მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე, არჩევნებთან დაკავშირებით მიიღეს ინფორმაცია საკანონმდებლო ცვლილებებზე, პანდემიის პირობებში არჩევნების ჩატარების წესსა და საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის უსაფრთხო პროცედურების საკითხებზე. საარჩევნო უფლებებსა და მათი რეალიზების პროცედურაზე (მათ შორის, ხმის მიცემის ფარულობის პრინციპთან დაკავშირებით), აგრეთვე, სხვა მნიშვნელოვან საარჩევნო საკითხებზე, ხელს შეუწყობს ამომრჩევლის მიერ გააზრებულ არჩევანის გაკეთებას და წაახალისებს ამომრჩევლების (მათ შორის ახალგაზრდა ამომრჩევლების) აქტივობის ზრდას საარჩევნო პროცესში. პროექტის განხორციელების შედეგად ბენეფიციარებს დარჩათ, შემუშავებული საგანმანათლებლო-საინფორმაციო მასალა(საინფორმაციო ბროშურა, ბლოკნოტი, კალამი, მაისური, კეპი). საგანმანათლებლო ღონისძიებიების განხორციელებამ პოზიტიური საინფორმაციო და საგანმანათლებლო გავლენა მოახდინა  ამომრჩევლებზე რამაც დამატებით გაზარდა მათი მოტივაცია, ინფორმირებულობა, სამოქალაქო პასუხისმგებლობა. პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებით მიღებული შედეგი მეტად მნიშვნელოვანია სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისთვის, რომელიც წინ გადადგმული ნაბიჯია იმერეთის რეგიონის საარჩევნო კულტურის განვითარებისათვის.

# მადლობა ყურადღებისთვის